10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.013

ზაზა ცინაძე

წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი,
საქართველო
cinadzezaza@yahoo.com

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შემუშავება, განხილვა და დამტკიცება

დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ ერთ-ერთი პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც სჭირდებოდა დამფუძნებელ კრებას, იყო რეგლამენტი. რეგლამენტის ტექსტის შესამუშავებლად დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა სარეგლამეტო კომისია, რომელმაც პირველი სხდომა გამართა 1919 წლის 19 მარტს. კომისიის შემადგენლობიდან შეიძლება აღვნიშნოთ გ.გვაზავა, რ.არსენიძე, პ.საყვარელიძე, ი.ბარათაშვილი, ი.ნუცუბიძე, ნ.იმნაიშვილი, რომლებიც ყველაზე აქტიურად იყვნენ ჩართული კომისიის მუშაობაში.

სხდომა გახსნა კომისიის უხუცესმა წევრმა გ.გვაზავამ, რომელმაც დაიწყო კომისიის მუშაობა. სხდომაზე არჩეული იქნა კომისიის პრეზიდიუმი, თავმჯდომარედ ი.ბარათაშვილი, მოადგილედ პ.საყვარელიძე, მდივნად ი. ნუცუბიძე. თავმჯდომარის ადგილას დაკავების შემდეგ ი.ბარათაშვილი შეუდგა მომავალი სხდომების დღის წესრიგის განხილვას, რ.არსენიძის ინიციატივით დამფუძნებელი კრების რეგლამენტის სასწრაფო შემუშავებისა და მისი საჭიროების გამო კომისიის სხდომების ჩატარება გადაწყდა ყოველდღიურად. 20 მარტისთვის დანიშნულ სესიაზე პირველ მომხსენებლად დაინიშნა რ. არსენიძე. კომისიის ქვორუმად განისაზღვრა მინიმუმ სამი კაცი(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№193, გვ.1-2).

1919 წლის 20 მარტს ხუთშაბათ დღეს სარეგლამენტო კომისიამ უშუალოდ დაიწყო რეგლამენტის ტექსტის შედგენაზე მუშაობა.

რეგლამენტის შემუშავების დროს სახელმძღვანელო ტექსტად მიღებული იქნა ყოფილი ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის რეგლამენტი. ყოფილი ეროვნული საბჭოს რეგლამენტი შედგებოდა 172 მუხლისაგან, ხოლო დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, რომელიც სარეგლამენტო კომისიამ შეიმუშავა 180 მუხლისგან. 1919 წლის 20 მარტს სარეგლამენტო კომისიამ პირველი მუხლი უცვლელად დაამტკიცა ყოფილი ეროვნული საბჭოს რეგლამენტის. მეორე მუხლში შევიდა დამატება „თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე დამფუძნებელი კრება სხვადასხვა საკითხს არ შეეხება“. მე-3, მე-4, მე-5 მუხლები მიიღეს უცვლელად, ხოლო მე-6 მუხლი მიიღეს შემდეგი ტექსტით დამფუძნებელი კრება აირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიც შევიდოდნენ თავმჯდომარე, მისი ამხანაგები და მდივანი.

პრეზდიუმის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავდა თვითონ დამფუძნებელი კრება. 20 მარტის სხდომაზე მიღებული იქნა 39 მუხლის კანონპროექტი. ცვლილებები შევიდა მე-12 მუხლში, სადაც პრეზიდიუმის წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 1 სასესიო ვადით. (1 წლით) ეროვნული საბჭოს რეგლამენტში 1 სესიის ვადა დაფიქსირებული არ ყოფილა(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№193, გვ.3-4).

21 მარტს, პარასკევ დღეს, მეორე სესიაზე სარეგლამენტო კომისიამ განიხილა და მიიღო „რეგლამენტის პროექტის“ მუხლები 40-დან 48-მდე. კომისიამ მიიღო ახალი 48-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კანონპროექტის პირველი და მეორე განხილვებს შორის დრო უნდა ყოფილიყო არანაკლებ 7 დღე. კანონპროექტის მუხლებში შეტანილი ცვლილებების და დამატებების შესახებ ინფორმაცია პრეზიდიუმს უნდა გადაგზავნოდა არა უგვიანეს 3 დღის ვადაში(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№193,გვ.5-7).

49-დან 68-ე მუხლამდე რეგლამეტის კანონპროექტის განხილვა გაიმართა 24 მარტის სხდომაზე, ეროვნული საბჭოს რეგლამენტის 49,50,51,52-ე მუხლები მიღებული იქნა. უცვლელად 53-ე მუხლში შევიდა ცვლილებები, ხოლო რეგლამენტის ტექსტს დაემატა ახალი 57-ე და 62-ე მუხლები, 58-ე 59-ე მუხლები ეროვნული საბჭოს რეგლამენტის, რომლებიც ეხებოდა შემოსავალ-გასავალის განხილვის

წესს, საერთოდ იქნა ამოღებული იმავე დღის სხდომაზე რეგლამენტის პროექტის ფარგლებში მიიღეს ოთხი ახალი მუხლი 66-ე, 67-ე, 68-ე 69-ე(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№193, გვ.7-8).

25 მარტის სხდომაზე სარეგლამენტო კომისიამ დამფუძნებელი კრების რეგლამენტის 105-ე მუხლამდე შეადგინა ტექსტი. მიიღეს ახალი 74-ე და 77-ე მუხლები. 71-მუხლში შევიდა ცვლილება და 40 წევრის ნაცვლად სხდომის ქვორუმად ჩაითვალა 50 წევრი. ეს მუხლი დამფუძნებელი კრების რეგლამენტში შევიდა ახალი ნუმერაციით 79, დანარჩენი მუხლები 105-ის ჩათვლით მცირეოდენი ტექნიკური ცვლილებით იქნა მიღებული(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№193, გვ.9-10).

106-ეან 172-ემუხლების ჩათვლით რეგლამენტის პროექტის განხილვა-დამტკიცება მოხდა სარეგლამენტო კომისიის 25 მარტის სხდომაზე. სხდომის ჟურნალში ვკითხულობთ,რომ ცვლილებები შეტანილი იქნა რამდენიმე მუხლში მათ შორის 109; 110; 143; 144; 161 ამ მუხლებში შეტანილი იქნა ცვლილებები დანარჩენი მუხლები კი დამტკიცებული იქნა მხოლოდ ტექნიკური ცვლილებებით(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№193, გვ.11).

31 მარტს სარეგლამენტო კომისიამ დაასრულა მუშაობა დამფუძნებელი კრების რეგლამენტების 180-ვე მუხლზე. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება რეგლამენტის პროექტი წარედგინა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წინაშე სხდომაზე გასატანად. მომხსენებლად დაინიშნა კომისიის თავმჯდომარე ი.ბარათაშვილი(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№193, გვ.12).

ამონაწერი საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 1919 წლის 3 აპრილის ჟურნალი დამფუძნებელი კრების რეგლამენტის სხდომის პროექტის განხილვად უნდა წარდგენილიყო, ამავე წლის 4 აპრილს დამფუძნებელ კრებაზე მომხსენებლად დაინიშნული იქნა სარეგლამენტო კომისიის თავმჯდომარე ი.ბარათაშვილი(ს.ც.ს.ს.ა. ფ.1833, აღ.1, ს.№195,გვ.29).

1919 წლის 4 აპრილს შედგა დამფუძნებელი კრების მორიგი სხდომა, სადაც განსახილველ საკითხთა შორის იყო დამფუძნებელი კრების რეგლამენტის განხილვა. დამფუძნებელი კრების წინაშე სიტყვით წარსდგა სარეგლამენტო კომისიის თავმჯდომარე იესე

ბარათაშვილი. მან აღნიშნა რომ დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შემუშავების დროს სარეგლამენტო კომისია ხელმძღვანელობდა რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს რეგლამენტებით. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი დროებით ჰქონდა მიღებული სახელმძღვანელოდ, ამიტომ უნდა აღინიშნოს უმთავრესი განსხვავება, რომელიც მიღებულ იქნა ახალ რეგლამენტში არის ის, თუ რა უფლებით არის აღჭურვილი დამფუძნებელი კრება და რა მოვალეობას ასრულებს ის. მუხლებით 39, 40, 41, 42, დამფუძნებელი კრება აფუძნებს განსაკუთრებულ კომისიებს, მმართველობის ყოველი დარგის მოქმედების გამოსაძიებლად. კომისიას დიდი ყურადღება მიუქცევია საქმეთა განხილვის წესისათვის. კანონპროექტების პირველსა და მეორე განხილვის შუა უნდა გასულიყო არა ნაკლებ შვიდი დღე, რომ დამფუძნებელ კრებას ჰქონოდა დრო მოეფიქრებინა და დაკვირვებოდა საკითხს, შემდეგ სათანადო დასკვნა გამოეტანა. მუხლები 56,66,68 აღნიშნავენ დეკრეტების განხილვის წესს. დამფუძნებელ კრებას ჰქონდა უფლება შეეტანა ყოველი წინადადება დეკრეტების ინსტრუქციის და დადგენილების პროექტის სახით. წინადადება უნდა დარიგებოდა დამფუძნებელ კრების წევრებს 24 საათით ადრე კრების გახსნამდე. 70-ე მუხლი ეხებოდა შეკითხვების დასმას, ხოლო 74-ე მუხლი კი დამფუძნებელ კრების წევრის მიერ მთავრობისათვის ანგარიშის მოთხოვნას ამა თუ იმ საკითხის განსამარტად. მთავრობა ვალდებული იყო პასუხი გაეცა დაუყოვნებლივ იმავე ან შემდეგ სხდომაზე. ამის შესახებ კამათი არ იმართებოდა. მუხლი 79-ის მიხედვით დამფუძნებელი კრების ქვორუმად განისაზღვრა 50 კაცი. 110-ე მუხლის მიხედვით თუ დამფუძნებელი კრების წევრი არ დაემორჩილებოდა თავმჯდომარეს, ის უფლებამოსილი იყო მოეთხოვა წესრიგის დაცვა, მიეცა შენიშვნა და ა.შ. 114-ე მუხლში აღნიშნული იყო მსჯელობის შემოკლებისა და შეწყვეტის წესი, 119-ე მუხლით კამათის შემოკლება და შეწყვეტა არ შეიძლებოდა, თუ მის წინააღმდეგ ხმას მისცენდა 12 ან მეტი წევრი. რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, მათში შეტანილ შესწორებებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. ამის შემდეგ მომხსენებელმა ი.ბარათაშვილმა თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ს.მდივანის თხოვნით

წაიკითხა დამფუძნებელი კრების რეგლამენტის 12 მუხლი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული, ამით დამფუძნებელი კრების სხდომა 3 საათსა და 20 წუთზე შეწყდა(საქართველოს დამფუძნებელი კრების 4 აპრილის სტენოგრაფიული ანგარიში 1919).

1919 წლის 8 აპრილის სხდომა დაიწყო 12 საათსა და 40 წუთზე სხდომას თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მდივნობდა დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, პრეზიდიუმში იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ მდივანი, გრიგოლ ნათაძე და ქრისტინე შარაშიძე. დღის წესრიგში განსახილველ საკითხთა შორის იყო დამფუძნებელი კრების რეგლამენტის განხილვის გაგრძელება.

მომხსენებელმა ი.ბარათაშვილმა წაიკითხა 13-38 მუხლები, რომელიც კენჭისყრით მიიღო დამფუძნებელმა კრებამ. 39-ე მუხლმა გამოიწვია კამათი, მუხლში ეწერა „მმაართველობის ყოველი დარგის მოქმედების გამოსაძიებლად, სარევიზიოდ თუ სხვა მიზნისთვის დამფუძნებელი კრება აირჩევდა განსაკუთრებულ კომისიას.“ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა შემოიტანა წინადადება მუხლში შესწორების შეტანის შესახებ მან მოითხოვა რომ ტექსტის ბოლოში დამატებული ყოფილიყო ერთი სიტყვა „ან პირს“. გ.ფაღავას განმარტება ამ ცვლილების არსი შემდეგში მდგომარეობდა: ამ მუხლით იგულისხმებოდა,რომ დამფუძნებელი კრება გარდა იმისა,რომ უწევდა კონტროლს მმართველობის სხვა და სხვა დარგებს,იმავე დროს, ვინაიდან მუხლში ამნაირად არის ნათქვამი: სარევიზიოდ თუ სხვა მიზნისთვის, დამფუძნებელი კრება თვითონ ერევა მმართველობის განხორციელებაში განსაკუთრებულ კომისიის სახით. *„ჩვენ გვქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ამოვირჩიეთ საგანგებო კომისია ახალციხის ამბების გამოსაძიებლად.მაშინ ამ კომისიას მივეცით უფლება დაპატიმრებისა და საჭირო ზომების მიღებისა. მაშასადამე შეიძლება ზოგიერთკონკრეტულ შემთხვევაშია ასეთი უფლება მიეცეს დამფუძნებელ კრების რომელიმე პირს.ამიტომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შემოაქვს შემდეგი შესწორება:39-ე მუხლს დაემატოს ბოლოში-„ან პირს“. აღნიშნული ცვლილება*

დამფუძნებელი კრების წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს“[საქართველოს დამფუძნებელი კრების 8 აპრილის სტენოგრაფიული ანგარიშები 1919].

40-78 მუხლები დამფუძნებელმა კრებამ უცვლელად დაამტკიცა. 79-მუხლმა კი კვლავ დებატები გამოიწვია დარბაზში. რეგლამენტის 79-ე მუხლი შემდეგში მდგომარეობდა: თუ ნახევარ საათის განმავლობაში სხდომისთვის დანიშნულ დროს შემდეგ დამფუძნებელ კრების ორმოცდაათ(50)წევრზე ნაკლები შეგროვდებოდა თავმჯდომარე აცხადებდა, რომ კრება არ შედგებოდა. სოციალ-რევოლოციონერთა ფრაქციის წარმომადგენელმა და ამავე დროს სარეგლამენტო კომისიის წევრმა ილია ნუცუბიძემ შემდეგი სიტყვა *წარმოთქვა:„მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების ქვორუმის საკითხი სოციალისტ-რევოლოციონერთ ფრაქციას მეტად სერიოზულ საკითხათ მიაჩნია.დამფუძნებელი კრება არის მოწოდებული დაამყაროს საფუძველი ჩვენი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა მან უნდა შექმნას კონსტიტუცია,რომელიც რამედენიმე ათეული წლობით განსაზღვრავს ცხოვრების მიმდინარეობის გეზს და ხასიათს. ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს სწყვეტს დამფუძნებელი კრება და ასეთი საკითხების გადაწყვეტაში თუ ორი მესამედი არა, დამფუძნებელი კრების ნახევარმა ერთის მიმატებით მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს ერთი, მეორე,მოქალაქენო,თვით ჩვენ კრების წევრნი, განსაკუთრებული მოწოდებით და სერიოზულობით უნდა მოვეპყრათ დაფუძნებელი კრების მუშაობას და როდესაც მხოლოდ ერთი მესამედი კრებისა მიიღებს საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას,ჩვენის აზრით ეს არის საქმისადმი სერიოზული მოპყრობა.როდესაც სათნადო ყურადღებით მოვეპყრობით მუშაობაში,როდესაც საკითხების გადაწყვეტაში მიიღებს მონაწილეობას კრების დიდი უმეტესობა დამფუძნებელი კრება გახდება მეტი პოპულარული და ჰპოებს სამკვიდრებელს ხალხის ფსიქოლოგიაში.ამ მოსაზრებით სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია მოითხოვს,რომ ორმოცდაათის მაგივრად ქვორუმი შეადგენდეს სამოცდაექვსს*“[საქართველოს დამფუძნებელი კრების 8 აპრილის სტენოგრაფიული ანგარიში 1919].

რეგლამეტის აღნიშნული მუხლის უცვლელად დამტკიცების შესახებ სიტყვა წარმოთქვა სოციალურ- დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა კირილე ნინიძემ:„ ბატონებო, ეს შესწორება მეტიც იქნება,იმიტომ რომ ჩვეულებრივ მიღებულია, როცა უმრავლესობა არის, მაშინ ქვორუმიც არის.ისე რომ ამის შეტანა სრულიად მეტი იქნება.და თუ ჩვენ რეგლამენტით სულ სხვანაირად ვფიქრობთ განსაზღვრას ეს არვიცი.

აქ ჩვენ გვამოქმედებს სულ სხვა.წმინდა პრაქტიკული მოსაზრება.თეორიულათ რასაკვირველია,ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ესერების განცხადებას,რომ რაც შეიძლება მეტნი დაესწრნენ სხდომას. თუ ყველა წევრი დაესწრება სხდომას, ეს უკეთესი იქნება ,მაგრამ საქმე შემდეგშია ჩვენ უკვე მივიღეთ ერთი კანონი დამფუძნებელი კრების წევრობის შეთავსების შესახებ . (ადგილიდან კომენტარი შეუთავსებლობის შესახებ) შეუთავსებლობის შესახებ კი არა, შეთავსების შესახებ ,რადგან ჩვენ დაუშვით, რომ დამფუძნებელ კრების წევრად შეიძლება იყვნენ ადგილობრივ თვითმმართველობათა გამგეობის წევრები,მინისტრები,მათი ამხანაგები,ელჩები, პროფესორები და სხვები. ახლა თუ თქვენ მიიღებთ მხედველობაში (ლ.შენგელია რამდენი იქნებიან სულ?)დეპუტატების ადგილიდან გაკეთებულ ამ განცხადებას თავმჯდომარისგან შემდეგი შენიშვნა მოჰყვა გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ ამის შემდეგ ნინიძემ კვლავ გააგრძელა გამოსვლა. არ ვიცი რამდენაი იქნებიან, მაგრამ ჩვენ ეს კანონი მივიღეთ უკვე და რაკი ეს კანონი მივიღეთ ჩვენ ეხლა აქედან უნდა გამოვდიოდეთ.თუ ეს კანონი ძალაში დარჩება, ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვეულებრივ გვეყოლება აბსოლუტური უმრავლესობა, 66 კი არის აბსოლუტური უმრავლესობა.მე სწორედ ამიტომ მიმაჩნია საჭიროდ,რომ დარჩეს 50 წევრი. ეს იქნება, გარემოებისა და დროის მიხედვით. არსებითად სოციალურ-რევოლუციონერების წინადადება გამოდის კარგი სურვილიდან. მაგრამ ეს მოასწავებს პირდაპირ საბოტაჟს, იმიტომ რომ აბსოლუტური უმრავლესობა არ გვეყოლება. (დარბაზიდან კომენტარი თქვენზე არის დამოკიდებული!) თქვენზე არის დამოკიდებული აბა გადახედეთ რამდენი წევრნი ვართ, და

თქვენ რამდენი პროცენტი გაკლიათ! ამ მოსაზრებით ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, რომ დარჩეს 50 წევრი.[საქართველოს დამფუძნებელი კრების 8 აპრილის სტენოგრაფიული ანგარიში 1919]. ამ გამოსვლის შემდეგ ფაქტიურად დებატები შეწყდა.

და საბოლოო სიტყვის თქმის უფლება დაევალა ი .ბარათშვილს, რომელმაც განაცხადა,რომ აღნიშნული საკითხის განხილვამ თვით სარეგლამენტო კომისიაშიც გამოიწვია კამათი საკითხი ხმის უმრავლესობით
იქნა მიღებული და კომისიამ ქვორუმად მიიღო 50 წევრი, რაც შეეხება საბოლოო სიტყვას ეს დამფუძნებელ კრებაზეა დამოკიდებული და კენჭისყრით გადავწყდება.

ამის შემდეგ თვმჯდომარის ინიციატივით კენჭი უყარეს 79 მუხლის შესასწორებულ ვარიანტს, სადაც 50 მაგივრად ჩაიწერა 66 , თუმცა აღნიშნული ცვლილებება უარყოფილი იქნა მუხლი დამტკიცდა პირველი რედაქციით. ი .ბარათაშვილმა წაიკითხა 80-180 მუხლები, რომლებიც კომისიამ უცვლელად დაამტკიცა. დამფუძნებელი კრების რეგლამენტის პროექტი გადაეცა სარედაქციო კომისიას გამოსაცემად, მოსამზადებლად.

საქართველოს დამფუძნებელი კრების სარედაქციო კომისიამ 14 აპრილს წარმოადგინა რეგლამენტის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი და დამფუძნებელი კრების წინაშე მომხსენებლად დანიშნა ო.სოლოღაშილი. დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო რეგლამენტის საბოლოო ტექსტი და გამოაქვეყნა 1919 წ. 25 აპრილს, რეგლამენტის ტექსტს ხელს აწერდა დამფუძნებელი კრების უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე(ს.ც.ს.ს.ა.ფ.1833, აღ.1, ს.№195,გვ.35-37).

ბიბლიოგრაფია

ავალიშვილი ზ, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში,თბ. მხედარი 2011, 5-376გვ.
არჩევნების გარეშემო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 5 იანვარი,გვ.2.
არჩევნების გარეშემო, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 25 იანვარი, გვ.3-4

არჩევნების გარეშემო, გაზ.„საქართველო“ 1919 წლის 5 იანვარი, გვ.3-4.
გ.გვაზავა, გაზ. „საქართველო“ 1919 წლის 2 თებერვალი, გვ.3-4.
გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 20 იანვარი, გვ.1-4.
დამფუძნებელი კრების არჩევნები, გაზ.„საქართველო“ 1919 წლის 15 იანვარი, გვ.3.
დამფუძნებელი კრების არჩევნები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 15 იანვარი, გვ.2.
ჟორდანი ნ, ჩემი წარსული, პარიზი, 1953,-190გვ.
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე №193
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე №194
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე №195
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე №196
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე №31
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე №39
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე №62
ს.ც.ს.ს.ა, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე№ 5
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №17
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე № 12
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №10
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №11
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №13
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №14
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №15
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №16
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №18
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №19
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №2
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №20
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №21
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №22
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №23
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №24
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №25

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №26
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №27
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №28
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №29
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №3
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №30
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №31
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №32
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №33
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №34
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №35
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №36
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №37
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №38
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №39
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №4
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №40
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №41
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №42
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №43
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №44
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №45
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №46
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №47
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №48
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №49
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №5
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №50
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №51
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №52
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №53
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №54
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №55

ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №56
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №57
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №58
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №59
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №6
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №60
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №61
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №62
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №63
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №64
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №65
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №66
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №67
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №68
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №69
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №7
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №70
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №71
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №72
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №73
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №74
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №75
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №76
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №77
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №78
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №79
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №8
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №80
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №81
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №82
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №83
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №84
ს.ც.ს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №85

ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №86
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №86
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №87
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №88
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №89
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №9
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №90
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №91
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №92
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №93
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №94
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №95
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №96
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №97
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №98
ს.ცს.ს.ა. ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე №99
საარჩევნო ექსპრომტები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 31 იანვარი, გვ.3-4.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ. ივერთა მხარე, 1990. გვ.168-176; 282-283
საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ს.ცს.ს.ა.)
სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო პლატფორმა, გაზ.„ერთობა“,1919 წლის 2 თებერვალი, გვ.1-2-3გვ.
შარაძე გ, დაბრუნება „რ.გაბაშვილის მოგონებები“,თბ. მეცნიერება 1991, ტ.3, 24-205გვ.
ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 20 იანვარი, გვ.1.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 2 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 5 თებერვალი, გვ.3-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 7 თებერვალი გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 10 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 13 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 14 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 10 თებერვალი,გვ.1-2-3.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 11 თებერვალი,გვ.1-2-3.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 12 თებერვალი,გვ.1-2-3.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 13 თებერვალი,გვ.1-2-3.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 14 თებერვალი,გვ.1-2-3.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 15 თებერვალი,გვ.1-2-3.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„ერთობა“, 1919 წლის 8 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 6 თებერვალი, გვ.1-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 9 თებერვალი, გვ.1-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 10 თებერვალი, გვ.1-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 11 თებერვალი, გვ.1-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 12 თებერვალი, გვ.1-4.

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 13 თებერვალი, გვ.1-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 14 თებერვალი, გვ.1-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„საქართველო“, 1919 წლის 15 თებერვალი, გვ.1-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 30 იანვარი, გვ.2-3.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 3 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 6 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 10 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 11 თებერვალი, გვ.3-4.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 12 თებერვალი, 3-4გვ.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 13 თებერვალი, 3-4გვ.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 14 თებერვალი, 3-4გვ.
წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები, გაზ.„სახალხო საქმე“, 1919 წლის 15 თებერვალი, 3-4გვ.

ბენდიანიშვილი ალ, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.), თბ. მემატიანე, 2001, -366გვ.
ბენდიანიშვილი ალ, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921წწ, თბ. მეცნიერება, 1980, -275გვ.
გურული ვ, ვაჩნაძე მ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ. მერიდიანი, 1999, -481გვ.
გურული ვ, ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953, თბ. ინტელექტი, 1999, -279გვ.

ვადაჭკორია შ, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ. მეცნიერება, 2001, -496გვ.
კუპატაძე ბ, საქართველოს ხელისუფლების ისტორია, თბ. უნივერსალი, 2009, -150გვ.
მაცაბერიძე მ, არჩევნები და საზოგადოება, თბ. მეცნიერება, 2003, -488გვ.
მაცაბერიძე მ, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ.1997, -294გვ.
მაცაბერიძე მ, საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება და მიღება დამფუძნებელი კრების მიერ, საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ.პოლიტ.კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 5-27გვ
საითიძე გ, პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, თბ.უნივერსალი, 2009, -165გვ.
საითიძე გ, სწამდა სამშობლოს აღორძინება, თბ. საარი, 1997,-112გვ.
საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნე, თბ. პალიტრა L, 2012, ტ.4. -512გვ.
საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ. არტანუჯი, 2003, -272გვ.
სურგულაძე ა, სურგულაძე პ, საქართველოს ისტორია, თბ. თსუ, საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია, 1991, -461გვ.
სურგულაძე პ, საქართველოს დამფუძნებელი კრება და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ.პოლიტ.კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 29-45გვ.
სურგულაძე პ, ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან, თბ. სამშობლო, 1991, -31გვ.
ქავთარაძე ე,დავით ყიფშიძე, თბ.თსუ, 1992,-264გვ.
შველიძე დ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 1903-1917წწ. თბ. თსუ, 1997, -308გვ.

ცინაძე ზ, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები(ოფიციალური მონაცემების მიხედვით),თსუ-ს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ. მერიდიანი, 2011, 311-322გვ.

ცინაძე ზ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, ქართველოლოგიური კვლევები:ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები, თბ.უნივერსალი, 2012, 101-103გვ.

ჭანტურია ნ, ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის,თბ. უნივერსალი, 2006, -182გვ.

ჭუმბურიძე დ, 1919 წლის წინასაარჩევნო კამპანია და პარტიული აგიტაცია ქართულ პრესაში, საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ. პოლიტ. კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 47-55გვ.

ჯანელიძე ო, დახვრეტილი თავისუფლება, თბ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2000, -156გვ.

ჯანელიძე ო, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ. მეცნიერება, 2002, -535გვ.

ჯანელიძე ო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეზობლო პოლიტიკა და დამფუძნებელი კრება, საქართველოს დამფუძნებელი კრება პარლამენტარიზმის გამოცდილება, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბ. პოლიტ. კვლების ინსტიტუტი და თსუ, 2011, 57-72გვ.

ჯონსი სტ, სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო გამომცემლობა, 2007, -428გვ.